პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 ნოემბერი, შაბათი, 1986 წ.
№ 212 (2373) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სპორტსმენთა მონაპოვარი:

- ● ჭადრაკი. ნანა იოსელიანი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი
- ● თავისუფალი ჭიდაობა. ეგია მუსოიანი — საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი
- ● ძიუდო. აკაკი კიბორძალიძე — სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, ავთანდილ გუბელაძე — ბრინჯაოს პრიზიორი
- ● ძიუდო. დავით დავითაშვილი, თამაზ ნამგალაური — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძიუდოისტთა პირველობის ოქროს მედალოსნები
- ● ფეხბურთი. საქართველოს ნაკრები — „იმედის თასის" საკავშირო გათამაშების ჩემპიონი
- ● კალათბურთი. თბილისის „დინამო" — ალჟირის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჭადრაკში

## მესამედ!

ფრუნზე, 3 ნოემბერი (დეპეშით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). ნანა იოსელიანი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონია! ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც



XVI ტურში ირინა ლევიტინამ ვერ შეძლო ლიდია სემიონოვას დამარცხება და ყაიმს დაყაბულდა მასთან შეხვედრაში, ხოლო ქეთევან არახამიამაც ორივე პარტია (XV და XVI ტურების) ყაიმით დაამთავრა.

ნანა იოსელიანმა პირველად ნონა გაფრინდაშვილთან ერთად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული (1981 წელი), მომდევნო წელს იგი კვლავ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. და აი, მესამე წარმატება. მთელი რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულთა სახელით ვულოცავთ ნანას ამ ლამაზ და შთამბეჭდავ გამარჯვებას!

ჩემპიონის ვინაობა გაირკვა, მაგრამ ახლა არანაკლებ საინტერესო ამბებია მოსალოდნელი — ჯერ

იხ. მე-4 გვ.

სსრ კავშირის თასი თავისუფალ ჭიდაობაში

## ახალი წარმატება

**ნავოი.** უზბეკეთის ამ ქალაქში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. საპატიო ჯილდო, ისევე როგორც შარშან, რუსეთის ფედერაციის ათლეტებმა მოიპოვეს. ფინალში მათ უკრაინის გუნდი დაამარცხეს. მესამე ადგილი წილად ხვდა ბელორუსიის ნაკრებს (შეჯიბრება წლეულს ახლებური სისტემით ჩატარდა. ყოველ გუნდს ათის ნაცვლად თოთხმეტი მოჭიდავე გამოჰყავდა).

გათამაშდა აგრეთვე პირადი პირველობა. საბჭოთა კავშირის თასი სხვებთან ერთად მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ეგია მუსოიანმა.

სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი ძიუდოში



## აბსოლუტურში

**მოსკოვი.** არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ძალოსნობის სასახლეში ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონატი ძიუდოში, შეჯიბრებაში, რომელმაც ჭიდაობის ამ სახეობის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა უძლიერესმა მოჭიდავემ გ. ვერიჩევისა და ჰ. ბიკტაშევის გარდა, რომლებიც ამ დროს ტოკიოში ძიგარო კანოს მემორიალში გამოდიოდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ამ პრესტიჟულ ტურნირში რამდენიმე ათლეტი იცავდა, რომელთაგან ორი — ქუთაისელები აკაკი კიბორძალიძე და ავთანდილ გუბელაძე საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ.

ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონმა კიბორძალიძემ და სსრ კავშირის ექსჩემპიონმა კურსკელმა ალექსანდრე შუროვმა (მანამდე მათ ყველა შეხვედრა მოიგეს). კიბორძალიძე თავის კონკურენტზე უფრო მძიმეც არის და ახალგაზრდაც, მაგრამ შუროვი გამოცდილი ათლეტია, მას წარმატებით უასპარეზია არა ერთ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირში, ამიტომ, ფინალური შეხვედრის წინ მეტოქეთა შანსებს ერთნაირად აფასებდნენ, მაგრამ ამჯერად კიბორძალიძის უპირატესობა აშკარა იყო. შუროვი გაურბოდა ბრძოლას, პასიურად იცავდა თავს, რისთვისაც რამდენჯერმე შენიშვნაც კი მიიღო. ქართველი ძიუდოისტის უპირატესობა განსაკუთრებით შეხვედრის მიწურულში გამოიკვეთა, მაგრამ მსაჯებმა დროზე ადრე შეწყვიტეს ბრძოლა და კურსკელი სპორტსმენი პასიურობისთვის მოხსნეს. საბჭოთა კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონი ძიუდოში აკაკი კიბორძალიძე გახდა. ბრინჯაოს ჯილდოები ავთანდილ გუბელაძესა და ოდესელ გენადი იარემენკოს გადაეცათ.

„იმედის თასის" საკავშირო პირველობა ფეხბურთში

## თასი—საქართველოს ჭაბუკებს

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გათამაშება „იმედის თასი" ჭაბუკ ფეხბურთელთა მეტად პრესტიჟული, მნიშვნელოვანი ტურნირია. წლევანდელი ეს შეჯიბრება თავისებურად საიუბილეო იყო — იგი მეოცედ ჩატარდა.

სტავროპოლის მხარის ქალაქ ნევინომისკში თავი მოიყარეს წინასწარ ეტაპებზე გამარჯვებულებმა — საქართველოს, რსფსრ-ს, უკრაინის, მოსკოვის, აზერბაიჯანისა და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ნაკრებმა გუნდებმა.

ფინალისტთა შეჯიბრება მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა. წინა წლებში საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელებს „იმედის თასზე" არაერთხელ მოუპოვებიათ წარმატება, კერძოდ, 1968, 1973 და 1985 წლებში ისინი ამ საპატიო პრიზის მფლობელები იყვნენ და, აი, ახლაც ნევინომისკიდან სასიხარულო ცნობა მივიღეთ: ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში საქართველოს გუნდმა თამაშის მაღალი კლასი გამოავლინა და კვლავ, უკვე მეოთხედ დაეუფლა „იმედის თასს".

გათამაშების ბოლო, V ტურში საქართველოს ფეხბურთელები უკრაინის ნაკრებს შეხვდნენ, დაძაბული ბრძოლის შემდეგ, ხარჩილავას მიერ გატანილი გადამწყვეტი გოლის მეოხებით გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 და პირველ ადგილზე გავიდნენ (გუნდის მწვრთნელები ნ. ამირეჯიბი და ჯ. ანთიძე) 1969-70 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთაგან საქართველოს ნაკრებში გამოდიოდნენ თბილისის „ნორჩი დინამოელის", 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის, რუსთავის, ცხინვალის, გაგრისა და სხვა ფეხბურთელები. შეჯიბრების ბოლო ტურში, რომელიც 2 ნოემბერს შედგა, აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს „შრომითი რეზერვების" ნაკრები — 2:1, ხოლო რსფსრ-სა და მოსკოვის გუნდებმა ერთმანეთთან ფრედ ითამაშეს — 2:2.

„იმედის თასის" 1986 წლის გათამაშების საბოლოო ცხრილი ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 5 | 3 | 2 | 0 | 10-6 | 8 |
| რსფსრ | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 6 |
| მოსკოვი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 5 |
| „შრ. რეზერვები" | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 5 |
| უკრაინა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-5 | 3 |
| აზერბაიჯანი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 3 |

## წყალტუბოდან ქუთაისში... ჩემპიონებთან ერთად

საქვეყნოდ ცნობილ კურორტ წყალტუბოში წელიწადის ნებისმიერ დროს ათასობით დამსვენებელი ჩამოდის. ამჟამად წყალტუბოში იმყოფებიან საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრები; მაია ჩიბურდანიძე, ელენა ახმილოვსკაია, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია, მაგრამ ისინი მარტო დასვენების მიზნით როდი ესტუმრნენ კურორტს. სულ მალე დაიწყება მსოფლიოს მე-12 საჭადრაკო ოლიმპიადის ცხარე ბრძოლები და ჩვენი ოთხეულის „საკურორტო ცხოვრებაც" ამ შეჯიბრებისადმი მზადების გეგმას ემორჩილება. უკვე მესამედ, ოლიმპიადაზე ქვეყნის ნაკრების ღირსებას საქართველოს მოჭადრაკე ქალები დაიცავენ. შეგახსენებთ, რომ ორჯერ-1980 და 1982 წელს ისინი გამარჯვებულები დაბრუნდნენ შინ.

მოჭადრაკეების მზადება, ცხადია, მარტო დაფასთან გატარებული საათებით არ განისაზღვრება. მათ უნდა დაისვენონ და ძალები აღიდგინონ. ჩიბურდანიძემ და ახმილოვსკაიამ ხომ ახლახან დაამთავრეს მსოფლიო პირველობის მატჩი. აქ კი საამისოდ შესანიშნავი პირობებია: სტუმართმოყვარე მასპინძლები, ლამაზი ბუნება და სხვა ბევრი სიკეთე.

როდესაც მოჭადრაკეებს მივაკითხეთ, ისინი მწვრთნელებთან ერთად საექსკურსიოდ ემზადებოდნენ, ექსკურსიაზე ოჯახის წევრებთან და მწვრთნელებთან ერთად წამოვიდა მათი „მეზობელი" და უკვე კეთილი ნაცნობი სერგეი ბუბკა (ჭოკით ხტომაში ეს დაუმარცხებელი მსოფლიო ჩემპიონიც წყალტუბოს სტუმარია). ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და გზადაგზა ვესაუბრეთ მათ.

● **საქართველოში ბევრი კურორტია, წყალტუბოს რატომ მიანიჭეთ უპირატესობა? — ვკითხეთ ელენა ახმილოვსკაიას.**

— ნანა ალექსანდრიამ გვიქო. მართლაც მშვენიერი კურორტი ყოფილა. მე აქ შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

● **ასეთი დაძაბული მატჩის შემდეგაც?...**

— დიახ, დაღლილი არა ვარ და ნორმალურად ვემზადები ოლიმპიადისთვის.

● **რას გულისხმობს ეს მზადება? თეორიულ სიახლეებს ეცნობით თუ კონკრეტულად მეტოქეთა რეპერტუარს სწავლობთ?**

— ჩვენი ძირითადი მეტოქეები ოლიმპიადაზე აბუ-დაბიში ალბათ 3-4 გუნდი იქნება. მათი შემადგენლობა ძირითადად ცნობილია და ჩვენც ამის მიხედვით ვემზადებით.

● **როგორ ფიქრობთ, მსოფლიო პირველობის მატჩში მიღებული გამოცდილება დაგეხმარებათ ოლიმპიადაზე?**

— რასაკვირველია. ასეთი მატჩი ყველა მოჭადრაკის დიაპაზონს ამდიდრებს. იგი სასარგებლო იყო ჩემთვისაც. შევეცდები სათანადო დასკვნები გავაკეთო მომავლისათვის.

● **საგანგებოდ ამ მატჩისათვის ალბათ თეორიული სიახლეები გექნებოდათ მომზადებული. სოფიაში და ბორჯომში მთლიანად გამოიყენეთ ისინი თუ ნაწილს საჭადრაკო ოლიმპიადისთვის ინახავთ?**

— ჩემი რეპერტუარი უფრო ფართოა, ვიდრე მაიასთან მატჩში გამოჩნდა. ვეცდები ოლიმპიადაზე სრულად გამოვიყენო იგი.

● **მატჩში მონაწილეობა უფრო საინტერესოა თქვენთვის თუ ტურნირში.**

— მიჭირს აგიხსნათ, მაგრამ ტურნირში მონაწილეობა უფრო მიზიდავს.

● **ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ადვილია გუშინდელი მეტოქე თანაგუნდელად იგულვო?**

— მატჩამდე და ახლაც მაიასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ამით, ალბათ, ყველაფერია ნათქვამი...

თვითონ მაია?... ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან მდგარი მაია მასპინძლის უფლებით დროდადრო ექსკურსიამძღოლის მოვალეობას ასრულებდა („ნამდვილ" ექსკურსიამძღოლთან ერთად).



— „წყალტუბოში მეცადინეობა ყველაზე მეტად ჩემთვის არის ძნელი. იმიტომ, რომ გული ქუთაისისკენ მიმიწევს"... და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი სიამაყით უჩვენებს სტუმრებს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. მოჭადრაკეებმა შთაბეჭდილებების წიგნში თავიანთი ჩანაწერები დატოვეს. „მე რაღა ჩავწერო?" — იკითხა მსოფლიოს რეკორდსმენმა. „ჩაწერე: ყველაფერზე თანახმა ვარ და ხელიც მოაწერე" — ურჩია ნონა გაფრინდაშვილმა. ბუბკა მოჭადრაკეების „ავტოგრაფებს" დააცქერდა და თვითონაც მიბაძა მათ. ექსკურსანტებმა გეზი მოწამეთას ეკლესიისაკენ აიღეს...

● ● ●

**სურათზე: ნონა გაფრინდაშვილი, ელენა ახმილოვსკაია, რიმა ბილუნოვა და მაია ჩიბურდანიძე ბაგრატის ტაძართან.**

ჯემალ კასრაძის ფოტო

იხ. მე-2 გვ.

# წყალტუბოდან ქუთაისში... ჩემპიონებთან ერთად



დასასრული

**● ქალბატონო ნონა, საჭადრაკო ოლიმპიადის ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრი ბრძანდებით. რაიმე პარალელი თუ მოეძებნება თქვენს ახლანდელ გუნდსა და ძველ შემადგენლობებს.**

— მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ყველა გუნდი იმ დროისათვის უძლიერესი მოჭადრაკეებით იყო დაკომპლექტებული. ასე იყო ჩემი პირველი ოლიმპიადებიდან, როდესაც გუნდში მე — მსოფლიო ჩემპიონი და ამ ტიტულის უპირველესი პრეტენდენტები ვიყავით.

**● მსოფლიო ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, კიდევ ორი უძლიერესი მოჭადრაკე... ასეთ გუნდს გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს...**

— არც ასეა საქმე. ოლიმპიადა გუნდური შეჯიბრებაა და მას თავისი სპეციფიკა აქვს. მე, დაწყებული მეორე ოლიმპიადიდან, ცხრა ტურნირში ვმონაწილეობდი. მუდამ უძლიერესი გუნდი გვყავდა, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, გამარჯვების ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა. თანაგუნდელის მარცხი ხშირად დანარჩენებზეც მოქმედებს და ამ დროს გუნდს უჭირს. ოლიმპიადაზე ნათლად ვლინდება თითოეული მოჭადრაკის ხასიათი. უნდა შეგეძლოს, ყველაფერი პირადული დაივიწყო გუნდის ინტერესებისათვის.

...ამასობაში მოწამეთას მივადექით. ეკლესიამ და თვალწარმტაცმა შემოგარენმა აღტაცებაში მოიყვანა ყველა. წინ მიმავალი მაიაც უფრო გახალისდა, ტაძარზე და მის ისტორიაზე გვიამბო. მასპინძლები გულითადად მიეგებნენ სახელოვან სტუმრებს და მალე ყველანი მიიწვიეს... ჩურჩხელებით დახუნძლულ ხარიხასთან. შემდეგ გელათისაკენ გავემგზავრეთ...

რიმა ბილუნოვას კარგად იცნობენ ჭადრაკის მოყვარულები. იგი უკვე მესამედ ამზადებს საბჭოთა ნაკრებს საჭადრაკო ოლიმპიადისათვის.

**● კიდევ ვინ გეხმარებათ მზადებაში? — ვეკითხებით ქალბატონ რიმას.**

— ცნობილი დიდოსტატი აივარ გიპსლისი მეხმარებოდა, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, ავად გახდა. ახლა მას ალბათ დიდოსტატი ვიქტორ კუპრეიჩიკი შეცვლის. გარდა ამისა, წყალტუბოში ნონას თან ახლავს მწვრთნელი გიორგი ბორისენკო, ნანა ალექსანდრიას — დავით ჯანოევი. გუნდის თითოეულ წევრს მზადების ინდივიდუალური გეგმა აქვს, მაგრამ ერთადაც ხშირად ვმეცადინეობთ.

**● თქვენს გუნდში მხოლოდ საქართველოს მოჭადრაკეები არიან. გიადვილებთ თუ არა ეს მუშაობას?**

— ჩემი აზრით, ამას ნაკრების მომზადებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ყველა მოჭადრაკე, ვისთანაც საქმე მქონია, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ოლიმპიადაში მონაწილეობას. ასეა ახლაც. შეკრების ადგილად წყალტუბო შემთხვევით არ აგვირჩევია. შესანიშნავი ადგილია, უმრავლესობა, მათ შორის ქალაქის ხელმძღვანელობა, ჭადრაკის გულშემატკივარია და ყოველმხრივ გვეხმარებიან მომზადებაში. მადლობა მინდა გადავუხადო მათ.

**● დაფების მიხედვით როგორ განაწილდებიან ჩვენი მოჭადრაკეები?**

— მაია ჩიბურდანიძე უძლიერესი მოჭადრაკეა მსოფლიოში და იგი, რასაკვირველია, პირველ დაფაზე ითამაშებს. მეორე მოჭადრაკედ გუნდში ელენა ახმილოვსკაია გვინდა დავასახელოთ. იგი შეუძლოდ გრძნობდა თავს და მსოფლიო პირველობის მატჩის პირველ ნახევარში ამიტომ ვერ აჩვენა თავისი ძალა, მაგრამ სამაგიეროდ, ბორჯომში ითამაშა კარგად. იგი ახლაც ჩინებულ სპორტულ ფორმაშია. კარგად არის მომზადებული მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია, რომელიც ალბათ გუნდის სათადარიგო წევრი იქნება. იქნება-მეთქი, ასე იმიტომ ვამბობთ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი მოსაზრებაა, რომელიც ხელმძღვანელებს უნდა წარვუდგინოთ მოსკოვში.

**● მეტოქეებზე რას გვეტყვით?**

— ქალთა შორის ჭადრაკი მეტად პოპულარული გახდა მსოფლიოში. ახლა შეჯიბრებებზე სეიშელისა და ვირჯინიის კუნძულების მოჭადრაკეებსაც შეხვდებით. ჩვენი ძირითადი მეტოქეები ალბათ ჩინეთის, ბულგარეთის და უნგრეთის მოჭადრაკეები იქნებიან. ჩვენ ჯერ არ ვიცით ითამაშებს თუ არა იქ ჟუჟა პოლგარი. თუმცა ჩვენ მაინც კარგად შევისწავლეთ ეს ძლიერი მოჭადრაკე და მზად ვართ მასთან შესახვედრად. ასევე სათითაოდ გავეცანით ზემოდასახელებული ქვეყნების უძლიერეს მოჭადრაკეთა შემოქმედებას.

**● ბევრი გააკვირვა იმან, რომ საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლად ზამთარ-ზაფხულ ცხელი აბუ-დაბი დაასახელეს. რა იცით ამ ქალაქის შესახებ კერძოდ, შეჯიბრების პირობებზე?**

— ამას წინათ იქ გაიმართა ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ჩვენი მწვრთნელებიც ესწრებოდნენ. მათ ძალიან მოეწონათ შეჯიბრების ორგანიზაცია. მოგეხსენებათ, კლიმატს დიდი მნიშვნელობა აქვს. გასულ, XI ოლიმპიადაზე მონაწილეთა ნახევარი გრიპით იყო ავად. აბუ-დაბიში ეცხელება, წყალტუბოშიც მზიანი დღეებია და ალბათ ამიტომაც თავს შესანიშნავად ვგრძნობთ. თუმცა, სადაც უნდა გაიმართოს ოლიმპიადა, ყველგან ჭადრაკის დიდი დღესასწაულია ხოლმე და მუდამ დიდ სიხარულს ანიჭებს მოჭადრაკეებსა და გულშემატკივრებს.

...გელათში სტუმრები უფრო დიდხანს გაჩერდნენ. სერგეი ბუბკა კი ცალკე, მწვრთნელთან ერთად დავიმარტოხელეთ. აღმოჩნდა, რომ მსოფლიო რეკორდსმენი და მისი მწვრთნელი ხანდახან მოჭადრაკეებსაც ეჯიბრებოდნენ, ოღონდ... ჩოგბურთში.

— მათ შორის ყველაზე კარგი სპორტსმენი, ჩვენი აზრით, ნონა გაფრინდაშვილია, — თქვა ბუბკას მწვრთნელმა ვიტალი პეტროვმა: — დიდ ჩოგბურთსაც კარგად თამაშობს და პატარასაც. ამიტომ მეამაყება, რომ მე და სერგეის ძმამ ვასილიმ, რომელიც გუშინ გაემგზავრა წყალტუბოდან, ჩოგბურთში გაფრინდაშვილ — ბუბკას შერეულ წყვილს ვაჯობეთ.

**● როგორ მოგწონთ აქაურობა. თუ არ ვცდები, თქვენ პირველად ხართ წყალტუბოში.**

—აქ ჩამოსვლა ჩემმა ნაცნობმა, თქვენებურმა, ფსიქოლოგმა რუდოლფ ზაიგანოვმა მირჩია. ეს ადგილი პირდაპირ მისწრებაა ჩვენთვის, რათა სერგეის და ვასილის მიკროტრავმები მოეშუშებინათ და კარგად დაესვენათ. 12 წელიწადია ბუბკებს ვავარჯიშებ და წელს პირველად შევძელით დრო გამოგვენახა დასასვენებლად. კიდევ ვიმეორებ, ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდით. ბუნებასა და კლიმატზე რომ არაფერი ვთქვა, პირობებიც შესანიშნავი გვაქვს.

— ჩემს მეუღლეს ლილიას და ბიჭს ვიტალის ძალიან მოეწონათ აქაურობა, — ჩაერია საუბარში სერგეი ბუბკა. სწორედ ამ დროს 1 წლისა და 3 თვის პატარა ვიტალიც მობაჯბაჯდა. (სხვათა შორის იგი ორი ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდის თანაავტორად ითვლება, მამამისმა ორივე ნახტომი ექვს და 6.01 მეტრზე, თავის ვაჟიშვილს მიუძღვნა გ. ჩ.). ჩამოვედით თუ არა, ცოტა ავად გაგვიხდა, მაგრამ ახლა



კაჟივითაა (ვიტალი ამ დროს დიდ მამალს გამოეკიდა), ნაცნობებიც გავიჩინეთ, მოჭადრაკეებს დავუმეგობრდით.

**● შეჯიბრებებზე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება. თითქოს თქვენ ვერაფერი ვერ დაგაბრკოლებთ, მაგალითად, ევროპის ჩემპიონატზე. მე შტუტგარტში ვიყავი და ის ეპიზოდი კარგად დამამახსოვრდა, ორჯერ ვერ აიღეთ 570 სმ. თქვენს ადგილზე ყველა აღელდებოდა, თქვენ კი, ვითომ არაფერი მომხდარა, მესამე ცდა ისე მიზანდასახულად შეასრულეთ, რომ თამასას თითქმის ნახევარი მეტრით მაღლა გადაევლეთ. არასოდეს გიფიქრიათ, რომ შეჯიბრებას აგებთ?**

ს. ბუბკა — არასოდეს. როცა შეჯიბრებაზე გამოვდივარ, ყოველთვის გამარჯვებაზე ვფიქრობ, თუ სხვა აზრი დაგებადა, შეიძლება მართლაც დამარცხდე.

**● შეჯიბრებისას მეტოქეებს თუ ადევნებთ თვალს?**

— მხოლოდ სატურნირო ცხრილს, იმას, თუ ვინ როგორი სიმაღლე აიღო. ეს იმიტომ, რომ „საქმის კურსში" ვიყო.

**● როდესაც თქვენთან ერთად ვასილიც გამოდის შეჯიბრებაში, თუ ღელავთ?**

— ადრე ძალიან ვღელავდი. მოგეხსენებათ, შეჯიბრებას ფიზიკური და სულიერი ძალების მაქსიმალური მობილიზება სჭირდება, მე კი ძმაზე ვფიქრობდი ხოლმე და ცალი ყური და თვალი მისკენ მქონდა. მერე შევეჩვიე ჩვენს ერთად გამოსვლას და საქმეც ორივესთვის უკეთ წავიდა.

**● ჯერ თქვენ გამოჩნდით დიდ შეჯიბრებებში და შემდეგ ვასილი. ეს ალბათ თქვენმა წარმატებებმა უფროსი ძმის თავმოყვარეობაზე იმოქმედა.**

—ალბათ. თუმცა ადრე ის მჯობდა. მე ბოლო წლებში გავუსწარი.

ვ. პეტროვი. — სერგეი მართლაც საოცრად თანაბრად ზრდიდა შედეგებს, ყოველ სეზონში — 30 სმ-ით. როდესაც სარეკორდო სიმაღლეებს მიაღწია, მერე ვასილის ჯერი დადგა: 5,50 მეტრი აიღო, შემდეგ 5,60, 5,70 და 5,85. დარწმუნებული ვარ, მასაც შეუძლია 6 მეტრის დაძლევა. ყველა ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ამას მივაღწიოთ.

**● თქვენ აღმოაჩინეთ და გაზარდეთ სერგეი ბუბკა. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში შეიძლება დარწმუნდეს მწვრთნელი, რომ მართლაც ნიჭიერი მოწაფე შეხვდა?**

ვ. პეტროვი. — ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს. იმის გარკვევას, თუ რა შეუძლია ბავშვს, რამ მოიყვანა სტადიონზე, სპორტის სიყვარულმა თუ გართობის სურვილმა, ორი წელი მაინც სჭირდება. სერგეის მონაცემებიც კარგი ჰქონდა, და რაც მთავარია, თავიდანვე ბეჯითი და მიზანდასახული ბიჭი იყო.

**● სერგეი, როდის იგრძენით, რომ დიდი სიმაღლეების დაძლევა შეგეძლოთ?**

ს. ბუბკა. — მთელი ცხოვრება ამაზე ვოცნებობდი, მაგრამ საკუთარ ძალაში 1978 წელს დავრწმუნდი, როდესაც 550 სმ გადავლახე.

**● პერსპექტივაზე რას გვეტყვით? ამბობენ, რომ თქვენ ახლავე შეგიძლიათ 620-625 სანტიმეტრის აღება.**

ვ. პეტროვი. — ეს კონკრეტულ სიტუაციაზე იქნება დამოკიდებული. საგანგებოდ ერთი ფანტასტიკური რეკორდისათვის მზადება არ ივარგებს. ყოველ სეზონში ბევრი მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა და გულშემატკივრებიც ისე მოელიან ახალ მსოფლიო რეკორდს, როგორც დღესასწაულს. წლეულს, მაგალითად, სერგეი 17 შეჯიბრებაში გამოვიდა და აქედან ცამეტში მსოფლიო რეკორდს შეუტია.

**● სერგეი, ამბობენ, რომ მეტოქეებს აშკარად ჯობნით ფიზიკური მონაცემებით, მაგალითად, სისწრაფით. რამდენ წამში გაირბენდით 100 მეტრს?**

ს. ბუბკა. — 10,2-ს ვანდომებ.

ვ. პეტროვი. — მარტო სისწრაფე არაფერს ნიშნავს, ჭოკით მხტომელი მრავალმხრივ ძლიერი სპორტსმენი უნდა იყოს. ზოგ თვისებებს ადრე შეიძენს, ზოგს — გვიან, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაფერში ძლიერი უნდა იყოს.

**● სერგეი, ჩვენი გულშემატკივრები ალბათ ძალიან გაიხარებენ, თუ შეძლებთ, თბილისში, „დინამოს" სტადიონზე გამოსვლას. არ ვიცი, შავლაყაძის ბრალია თუ სანეევის, მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენში მძლეოსნობის სახეობებიდან ყველაზე ძალიან ხტომა უყვართ. როდესაც 1978 წელს ვლადიმერ იაშჩენკომ სარეკორდო სიმაღლე აიღო, ღამის 12 საათი იყო, მაგრამ 30 ათას კაცს სტადიონიდან ფეხი არ მოუცვლია. ვლადიმერ პოლიაკოვმაც მსოფლიო რეკორდი ჭოკით ხტომაში თბილისში დაამყარა...**

ს. ბუბკა, — სამწუხაროდ, თბილისში ერთხელაც ვერ მოვახერხე ჩამოსვლა. ხელსაყრელ შემთხვევას ვუცდი.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**
**(„ლელოს" სპეც. კორ.).**

წყალტუბო — თბილისი.

* * *



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ნონა და მაია; მაია ჩიბურდანიძისა და ვიტალი ბუბკას „შერკინება"; სერგეი ბუბკა.**

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

---

## ვეტერანები — [illegible]

## [illegible]

**კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი — საქართველოს სპორტსახკომმა, სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში ვეტერან სპორტსმენთა შეჯიბრებებიც შეიტანა.**

მკითხველთა თხოვნით დღეს ჩვენ უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ ერთ ასეთ ასპარეზობაზე — ვეტერან ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირზე, რომელიც ბათუმში ჩატარდა.

სარბიელზე იყო მოსკოვის, ლენინგრადის, კაუნასის, ტალინის, გორკის, ტაშკენტის, დნეპროძერჟინსკის, თბილისისა და ბათუმის 80-მდე ვეტერანი ჩოგბურთელი. მათ შორის იყვნენ ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორებიც არიან თ. ლეიუსი, ს. ლაბანაუსკასი, ი. ხოხლოვი, ლ. მძინარიშვილი, ნ. თუხარელი და სხვები. ტურნირის ყველაზე ხანდაზმული მონაწილე იყო 73 წლის გორკელი ვ. ერზიუტოვი.

45 წლამდე ასაკის მამაკაცთა ერთეულთა თანრიგში წარმატებით გამოვიდა თბილისელი თ. ლეიუსი. მან ნახევარფინალში ანგარიშით 6:4, 6:4 დაამარცხა ტალინელი გ. ტურგანი, ხოლო ფინალში დაძაბულ ბრძოლაში სძლია კაუნასელ ს. ლაბანაუსკასს — 4:6, 6:4, 6:4. III ადგილზე გავიდა ტურგანი.

ამავე თანრიგში, 45 წლისა და უფროს ასაკოვანთა ჯგუფში, უძლიერესი იყო მოსკოველი ი. ხოხლოვი, რომელმაც ფინალში სძლია ლ. მძინარიშვილს — 6:2, 6:1. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თბილისელმა პ. მეტრეველმა მოუგო ტალინელ ი. ლამპის — 4:6, 6:2, 6:2.

ქალთა ასპარეზობაში, როგორც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა თბილისელმა ნ. თუხარელმა. მან ფინალში დაამარცხა დნეპროძერჟინსკელი ვ. უდოვენკო — 6:1, 6:2. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში თბილისელი თ. ფალავანდიშვილი ანგარიშით 0:6, 2:6 დამარცხდა ტალინელ ი. ლოიდთან.

ვაჟთა წყვილთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თ. ლეიუს — გ. ტურგანისა და ბ. ლუნინ (მოსკოვი) — ალ. იოლხინის (ტაშკენტი) წყვილები. ანგარიშით 2:6, 6:4, 6:4 გაიმარჯვა ლეიუს — ტურგანის წყვილმა. მესამე ადგილი წილად ხვდა ხოხლოვ — ლაბანაუსკასის წყვილს.

შერეულ წყვილთა ასპარეზობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ნ. თუხარელი — ლ. მძინარიშვილი, 2. ი. ლოიდი — ი. ლამპი, 3. ვ. უდოვენკო — ვ. კრივშიჩი (დნეპროძერჟინსკი).

პარალელურად გაიმართა ჩოგბურთის მოყვარულთა ტურნირი, რომელშიც მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ.

**ლევან ქავთარაძე.**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

ბათუმი.

---

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

**გვაინტერესებს რას ნიშნავს სპეციალური სამახსოვრო მედალი სპორტში და ვის აჯილდოვებენ ამ მედლებით?**

**ირაკლი ნიჟარაძე,**
**მამუკა ორახელაშვილი.**

— ეს მედალი სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ 1958 წელს დააწესა. დებულებაში აღნიშნული იყო, რომ მედალი გადაეცემოდათ იმათ, ვინც სპორტის ამა თუ იმ სახეობაში (ვარჯიშში, დისტანციაზე, წონით კატეგორიაში და ა. შ.) საეტაპო წარმატებას მიაღწევდნენ. ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით მედალი ყოველ სახეობაში მხოლოდ სამჯერ გაიცემოდა (ე. ი. მხოლოდ სამი სპორტსმენი მიიღებდა).

ამ საპატიო მედლით დაჯილდოებულ სპორტსმენთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც არიან. ასე მაგალითად, ვაჟთა სიმაღლეზე ხტომაში პირველი საპატიო მედალი იური სტეპანოვმა მიიღო, მეორე — ვალერი ბრუმელმა, მესამე კი რობერტ შავლაყაძემ (ამ სახეობაში, როგორც ხედავთ, სამივე ვაკანსია შეივსო და მედალს ამიერიდან ველარავინ მიიღებს).

სატრეკო ველოსპორტში 200 მეტრზე გიტში მხოლოდ ერთი მედალია გაცემული. ეს მედალი ომარ ფხაკაძემ მიიღო.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

49

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 23 800 მაყურებელი.

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 0:0.

„დინამო": გაბელია, კეტაშვილი, მიქაბერიძე, ჭედია (მახარაძე, 63), გურული (მესხი, 65 ), კაკილაშვილი, ხვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, ჩელებაძე, რევიშვილი.

„სპარტაკი": დასაევი, კაიუმოვი, ბ. კუზნეცოვი (ნოვიკოვი, 86), ხიდიატულინი, ბუბნოვი, შიბაევი, კაპუსტინი, სუსლოპაროვი, ერიომენკო, შალიმოვი (რუდაკოვი, 69), როდიონოვი.

მსაჯი ვ. კუზნეცოვი (ომსკი).

გააფრთხილეს ერიომენკო.

დუბლიორები — 0:1.

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ", მინსკში გამგზავრებამდე, ზედიზედ მოიგო საკავშირო ჩემპიონატის ოთხი მატჩი და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა, ქომაგებს იმედი გაგვიჩნდა, რომ დინამოელები შეძლებდნენ პირველ ხუთეულში დამკვიდრებას და უფლებას მოიპოვებდნენ მომავალ სეზონში (ხუთი წლის „შესვენების" შემდეგ) კვლავ მიეღოთ მონაწილეობა ევროპის საკლუბო ტურნირებში. ჩვენი ოპტიმიზმის საფუძველი იყო კიევში მიღწეული გამარჯვება. იმ შეხვედრაში თბილისელები, თავიანთი მრისხანე მეტოქის გვერდითაც კი კარგად გამოიყურებოდნენ, მაგრამ შემდეგმა ტურმა თითქოს ცივი წყალი გადაგვასხა — 0:4 მინსკში! თუმცა ხუთეულში მოხვედრის იმედი არ გადაგვიწურავს, გვჯერა, რომ დინამოელები ფარ-ხმალს არ დაჰყრიან, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ გუნდმა, რომელსაც სურს პირველ ხუთეულში მოხვდეს და საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის ღირსება დაიცვას, ვფიქრობთ, ისე არ უნდა ითამაშოს, როგორც „დინამომ" შაბათ საღამოს ითამაშა.

თბილისელები მხოლოდ პირველ ტაიმში ფლობდნენ ინიციატივას. მასპინძლებმა ალბათ გაითვალისწინეს ის, რომ სველ მინდორზე შორიდან დარტყმული ბურთი განსაკუთრებით სახიფათოა და ცდილობდნენ, რაც შეიძლება ხშირად გაეგზავნათ ბურთი დასაევის კარისაკენ. სამწუხაროდ, მხოლოდ ეს მანევრი ვერაფერს მატებდა დინამოელთა საბრძოლო არსენალს. მათი იერიშები ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოზე მაღალი ბურთის ჩაწოდებით ან მინდვრის სიღრმიდან წინ, ჩელებაძის მისამართით ბურთის გადაცემით მთავრდებოდა. გარდა ამისა, თბილისელთა მიერ საშუალო და შორი მანძილიდან შესრულებული დარტყმები სპარტაკელთა კართან რეალურ საფრთხეს ვერ ქმნიდნენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბურთი მიზანს სცდებოდა, ორჯერ თუ სამჯერ კი, როცა დარტყმა ზუსტი გამოდგა, დასაევი ადვილად დაეუფლა ბურთს.

მოსკოველებმა, რომლებმაც პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს დინამოელთა კარში (ისიც არაზუსტად), შესვენების შემდეგ საბოლოოდ აუღეს ალღო თბილისელთა თამაშს და თავად გადავიდნენ შეტევაზე. 55-ე წუთზე ბორის კუზნეცოვის მიერ კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს ხიდიატულინი ვერ მისწვდა და თბილისელები აშკარა გოლს გადაურჩნენ, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არ უნდა გამოეწვია მათ რიგებში ის დაბნეულობა, რომლითაც ისარგებლა „სპარტაკმა" და სულ რაღაც ათი წუთის განმავლობაში ოთხჯერ შეძლო აეღო დინამოელთა კარი.

შუა ტაიმში თამაში კვლავ გათანაბრდა. თბილისელებმა რამდენჯერმე ცადეს მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ დინამოელებმა მეტად საჭირო ქულა დაკარგეს კონკურენტთან შეხვედრაში.

ბუნებრივია, არ გვავიწყდება, რომ ამ შეხვედრაში თბილისის „დინამოს" მეტოქე იყო საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი — მოსკოვის „სპარტაკი". თავი დავანებოთ იმას, რომ სტუმრებს აკლდათ [illegible] ჩერენკოვი და ფ. ჩუზნეცოვი (თავ[illegible]) [illegible] მაგრამ [illegible] წყება შეიძლება, რომ მასპინძელთათვის ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი, პრინციპული მატჩი. გარდა ამისა, სპარტაკელებს კარგად ახსოვდათ: სულ მალე მათ ელით უეფა-ს თასის გათამაშების საპასუხო შეხვედრა საფრანგეთის „ტულუზასთან", ეს კი მოსკოველთა თამაშზე დადებითად ნამდვილად ვერ იმოქმედებდა. და, რაც მთავარია: „სპარტაკი" დღესდღეობით შორს არის თავისი საუკეთესო ფორმისაგან, იმ თამაშისაგან, რომელმაც მას განუზომელი პოპულარობა და ავტორიტეტი მოუტანა. თბილისის „დინამოს" მდგომარეობაში მყოფ გუნდს ყოველივე ამის გათვალისწინებით უკეთ უნდა ეთამაშა.

**ზურაბ ფოცხვერია.**

---

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1 ნოემბერი. 5000 მაყურებელი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (მოსკოვი) 0:4 (0:2)

„ტორპედო": მიქაძე, ფრუიძე, ჭელიძე, მალანია, თევზაძე, პაპავა, კორძალიძე, ტყავაძე, მეგრელაძე (ხუნდაძე, 46), მანაგაძე, შენგელია.

„დინამო": პრუდნიკოვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, სილკინი, დობროვოლსკი, ბულანოვი, ვასილიევი (მოლოდცოვი, 81), კოლივანოვი (კობელევი, 65), კარატაევი, ბოროდიუკი.

მსაჯი ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).

გოლები: პოზდნიაკოვი (30), ბოროდიუკი (45, 63 პენალტით), კარატაევი (73).

გააფრთხილეს: კორძალიძე, მალანია.

დუბლიორები — 0:3.

ნათქვამია: გუნდის თამაშის უტყუარი ბარომეტრი გულშემატკივრები არიანო.. ისინი კი ასე ცოტანი მოვიდნენ ცენტრალურ სტადიონზე. მართალია, ამ დღეს ქუთაისში წვიმდა, მაგრამ ყველაფერს მას ნუ დავაბრალებთ, რადგან წვიმა ყველა კვალს ვერ შლის... ამ კვალს კი ტორპედოელთა სუსტ თამაშებთან მივყევართ. ჩვენი გუნდი სტარტიდანვე გათამაშების ცხრილის ბოლო საფეხურებზე მოექცა, ვერც შემდეგ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ფინიშის სწორზე განწირულ აუტსაიდერად მოგვევლინა. იგი ასე უიმედოდ ამთავრებს სეზონს, რომლისგანაც გაცილებით მეტს მოველოდით არა მარტო ჩვენ, არამედ თვით მწვრთნელებიც, ფეხბურთელებიც, თუმცა, ეს სხვა მსჯელობის საგანია.

ახლა, რაც შეეხება ამ მატჩს, რომელიც „ტორპედომ" კვლავ შესუსტებული შემადგენლობით ჩაატარა. უკვე მეექვსე ტურია სხვადასხვა მიზეზების გამო რამდენიმე ძირითადი მოთამაშე ვერ გამოდის მინდორზე, მათი ადგილი კი ახალგაზრდებმა დაიკავეს, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი მზად არ აღმოჩნდნენ ასეთი სერიოზული გამოცდისათვის, ვერც გამოცდილმა, წამყვანმა მოთამაშეებმა გამოიღეს ხელი. ისევე, როგორც წინა ტურებში, ტორპედოელებმა ამ შეხვედრაშიც ვერ გაუწიეს მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

მართალია ერთ-ერთ ლიდერთან წაგებისთვის (თუნდაც, საკუთარ მინდორზე) გუნდს ქვას არ ესვრიან, მაგრამ თუ მეტოქეს მოუნდომებელი თამაშით უბრძოლველად დაუთმობ თამაშს, მაშინ...

ეს მატჩი უაღრესად დაბალ ტემპში, უღიმღამოდ დაიწყო. მეტოქეები თითქმის არც ცდილობდნენ გამწვავებას, მხოლოდ ტაიმის მიწურულს შედარებით გააქტიურდნენ. ამ წუთებში მასპინძლებმა ორჯერ შეძლეს საგოლე მომენტის შექმნა და... ორივეჯერ საკუთარ კარში ძიიღეს ბურთი. 29-ე წუთზე კორძალიძემ მეკარის პირისპირ გაიყვანა მეგრელაძე, მაგრამ მან არაზუსტად დაარტყა, რამდენიმე წამის შემდეგ პოზდნიაკოვმა ქუთაისელთა საჯარიმო მოედნის წინა ხაზიდან შეუფერხებლად დაარტყა, მიქაძის ნახტომმა დააგვიანა — 0:1. 44-ე წუთზე ცარიელი კარის წინ მყოფმა შენგელიამ ძელს მოახვედრა ბურთი, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ ბოროდიუკმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა — 0:2.

სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა, მართალია, ტორპედოელებმა ასე თუ ისე მოუმატეს თამაშის ტემპს, მაგრამ უსისტემო შეტევებს, ბუნებრივია, შედეგი არ მოჰყოლია, მოსკოველებმა კი კიდევ ორი გოლი გაიტანეს, გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით 4:0 და სათავეში მოექცნენ გათამაშების ცხრილს.

**თამაზ ხარაბაძე.**
(ჩვენი კორ.).

**გათამაშების ცხრილი** — მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „დინამო" (მოსკოვი) | 25 | 11 | 10 | 4 | 34-21 | 32 | (—18) |
| 2. | „სპარტაკი" (მოსკოვი) | 27 | 11 | 9 | 7 | 41-19 | 31 | (—23) |
| 3. | „ზენიტი" (ლენინგრადი) | 26 | 10 | 9 | 7 | 36-26 | 29 | (—23) |
| 4. | „შახტიორი" (დონეცკი) | 28 | 10 | 9 | 9 | 37-33 | 29 | (—27) |
| 5. | „დინამო" (თბილისი) | 27 | 10 | 9 | 8 | 29-31 | 29 | (—25) |
| 6. | „ქაირათი" (ალმა-ათა) | 28 | 10 | 8 | 10 | 29-34 | 28 | (—28) |
| 7. | „ტორპედო" (მოსკოვი) | 28 | 9 | 11 | 8 | 30-27 | 28 | (—28) |
| 8. | „დინამო" (კიევი) | 22 | 9 | 9 | 4 | 36-24 | 27 | (—17) |
| 9. | „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 27 | 9 | 8 | 10 | 26-30 | 26 | (—28) |
| 10. | „დინამო" (მინსკი) | 27 | 9 | 8 | 10 | 29-35 | 26 | (—28) |
| 11. | „ნეფთჩი" (ბაქო) | 27 | 8 | 11 | 8 | 32-32 | 26 | (—28) |
| 12. | „მეტალისტი" (ხარკოვი) | 26 | 8 | 9 | 9 | 18-19 | 25 | (—27) |
| 13. | „არარატი" (ერევანი) | 27 | 8 | 9 | 10 | 22-29 | 25 | (—29) |
| 14. | „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 27 | 7 | 11 | 9 | 34-35 | 25 | (—28) |
| 15. | „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 27 | 7 | 7 | 13 | 24-32 | 21 | (—33) |
| 16. | „ტორპედო" (ქუთაისი) | 27 | 5 | 7 | 15 | 24-34 | 17 | (—37) |

**რედაქციისაგან:** ქუთაისის „ტორპედომ" კიდევ ერთი მატჩი წააგო. აუტსაიდერი დამარცხდა ლიდერთან! ამაში, თითქოს ტრაგიკული არაფერი უნდა იყოს, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუფიქრდებით და „ტორპედოს" ბოლო მატჩებს მოვლენებთან, გათამაშების ცხრილში შექმნილ დაძაბულ მდგომარეობასთან კავშირში განვიხილავთ, გულშემატკივრებს სრული უფლება აქვთ, ქუთაისელთა გუნდს სერიოზული პრეტენზიები წაუყენონ. რა გვაქვს მხედველობაში? ის, რომ „ტორპედო" თითქმის უბრძოლველად თმობს შეხვედრებს, აღარ ავლენს არავითარ სპორტულ ჟინს, ბედს შერიგებული, აგდებულად ეკიდება თამაშს. განა ტორპედოელთა თავმოყვარეობაზე არ უნდა მოქმედებდეს ის, რომ ნებისმიერი გუნდი მათთან შეხვედრებში შინ თუ გარეთ ქულას ან ქულებს გეგმავს და აღწევს კიდეც საწადელს?

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გუნდის ხელმძღვანელობისა და თვით ქუთაისის სპორტული ორგანიზაციებისათვისაც სულ ერთია, რა შედეგით დამთავრდება ესა თუ ის მატჩი. ეს მართლაც მეტისმეტია. ბოლოს და ბოლოს, გულშემატკივარი ფეხბურთში პირველ ყოვლისა თვით თამაშს და ვაჟკაცურ ბრძოლას სცემს პატივს.

---

## ფეხბურთი

### I ლიგა

ახლოვდება I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ფინიში, განვლილ კვირას გაიმართა 45-ე ტურის მატჩები, კიდევ სამი ტური და საბჭოთა ფეხბურთის მეორე ეშელონში ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა.

ჩვენი გულშემატკივრები საგანგებო ყურადღებით ადევნებენ თვალს ბრძოლას ლიგის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა შორის, ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი — ლანჩხუთის „გურია" მთელი სეზონის მანძილზე წარმატებით თამაშობს და უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია. 2 ნოემბერს „გურიამ" კვლავ წარმატებით ითამაშა და მორიგი ორი ქულა აიღო სტუმრად ისეთ გამოცდილ, ძლიერ მეტოქესთან, როგორიც არის დონის როსტოვის არმიელთა გუნდი. ამავე დღეს გაიმარჯვა ლიგის ლიდერმა რიგის „დაუგავამაც", რომელმაც შინ ანგარიშით 4:0 დაამარცხა კიშინიოვის „ნისტრუ", მაგრამ 45-ე ტურში ქულა დაკარგა დუშანბეს „პამირმა" (ფრე ხაბაროვსკის არმიელთა გუნდთან — 1:1) და, რაც მთავარია, მარცხი იწვნია ცსკა-მ, რომელმაც თავის დახურულ კომპლექსში წააგო მოსკოვის „ლოკომოტივთან" — 0:2. ლვოვის ასკ „კარპატიმ" კლაიპედაში მოუგო „ატლანტასს" — 1:0.

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი დონის როსტოვში ახლდა ლანჩხუთის „გურიას" ადგილობრივ არმიელთა გუნდთან მეტად საპასუხისმგებლო მატჩზე.

**ასკ (დონის როსტოვი) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:1(0:0)**

დონის როსტოვი. ასკ-ს სტადიონი. 2 ნოემბერი.

**ასკ:** ბიჭიევი, დიკარევი, მინიბაევი, კალიტოვცევი, გლუშაკოვი, სიდოროვი (სერედა), აგაშკოვი, კაბაევი, ტარხანოვი, ვორობიოვი, მახალიტინი.

**„გურია":** გ. იმნაძე: კონდრატიევი, დანელია, ე. თევზაძე (ტყებუჩავა), მელიქია, ებანოიძე (გილიგაშვილი), კოპალეიშვილი, მ. თევზაძე, ჩხაიძე, ფრიდონაშვილი, აკოფიანი (დ. იმნაძე).

მსაჯი ვ. გუსკოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს კალიტოვცევი.

ლანჩხუთელ ფეხბურთელთათვის დარჩენილ შეხვედრებში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მეტოქე როსტოვის არმიელთა გუნდი იყო და სწორედ ამ მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „გურიამ" აქტიურად, მონდომებით დაიწყო თამაში და დასაწყისშივე შექმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, კერძოდ, ბურთის გატანის შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს ებანოიძემ და კოპალეიშვილმა. თავიანთ მხრივ სახიფათოდ უტევდნენ არმიელებიც, ძნელი ბურთები აიღო გ. იმნაძემ ტარხანოვის, აგაშკოვის, სიდოროვისგან, ამ ორმხრივ იერიშებში პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0.

ასევე ენერგიულად იბრძოდნენ ლანჩხუთელი ფეხბურთელები მეორე ტაიმშიც, გუნდში განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდა კოპალეიშვილი, რომელიც არსებითად ყველა საიერიშო კომბინაციის წამომწყები და ორგანიზატორი გახლდათ. ტაიმი მეტად საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა ნერვიულობის მიზეზით კომბინაციები ხშირად იშლებოდა არაზუსტი გადაცემების გამო, კვლავ და კვლავ გამოირჩეოდა კოპალეიშვილი, რომელმაც ორჯერ მოახვედრა ბურთი როსტოველთა კარის ძელს. შემდეგ სახიფათო მომენტები შეიქმნა „გურიის" კართანაც, 21-ე წუთზე დანელიამ უვნებელჰყო მეტად სახიფათო მომენტი, გ. იმნაძემ კი მოიგერია ძნელი ბურთი...

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ლანჩხუთელები კვლავ გამეტებით იბრძოდნენ გამარჯვებისთვის და ერთადერთი ბურთი, რომელმაც ჩვენს გუნდს ესოდენ საჭირო გამარჯვება მოუტანა, გატანილ იქნა კიდეც: 83-ე წუთზე კოპალეიშვილმა ზუსტად გადააწოდა ბურთი აკოფიანს, ამ უკანასკნელმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და გაიტანა ეს გოლი — 1:0.

ლანჩხუთის „გურიამ" დამსახურებულად მოიგო ძნელი მატჩი, თუმცა, დარჩენილ მცირე დროში კოპალეიშვილს მეორე ბურთის გატანაც შეეძლო.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

**„დინამო" (ბათუმი) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 3:0 (0:0)**

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 2 ნოემბერი.

**„დინამო":** მამინაშვილი, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, მენაბდე, გორგილაძე, მაისურაძე (კაკაბაძე).

**„როსტსელმაში":** ა. ბალახნინი, შიკუნოვი, ივანოვი, რომანჩუკი, გონჩაროვი (მანოხინი), ოკუნოვი (ლდახი), ანდრეევი, გიცელოვი, სელინი (პოვალიაევი), სტეპუშკინი, გ. ბალახნინი,

მსაჯი ნ. ბარტცელი (კიშინიოვი).

გააფრთხილეს გოგიტიძე და ოკუნევი.

ბათუმის დინამოელებმა პირველ წრეში სენსაციური დამარცხება განიცადეს „როსტსელმაშისგან". მაშინ როსტოველებმა თავიანთ მინდორზე 6 „მშრალი" ბურთი გაიტანეს ბათუმელთა კარში.

ბათუმელები, ცხადია, რევანშის აღების წყურვილით განწყობილნი გამოვიდნენ მინდორზე, მონდომებით ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც, თუმცა, სტუმრებმა თამაშის პირველ ნახევარში შეძლეს თავიანთი კარის უხიფათობის დაცვა.

შესვენების შემდეგ უპირატესობა მთლიანად დინამოელთა მხარეს იყო, 51-ე წუთზე გოგიტიძე-ათუაშვილის კომბინაცია „როსტსელმაშის" კარში გატანილი პირველი გოლით დამთავრდა, 65-ე წუთზე ზედანიამ მიიღო გორგილაძის გადაცემა, გავიდა მეკარის პირისპირ და მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო 75-ე წუთზე გორგილაძე-გოგიტიძე-მენაბდის კომბინაციის შემდეგ ა. ბალახნინს მესამედ მოუხდა ბურთის გამოტანა საკუთარი კარის ბადიდან.

ბათუმელებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ 83-ე წუთზე ანდღულაძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი (ბურთი აიღო „როსტსელმაშის" მეკარემ).

**ოთარ მურვანიძე.**
(ტელეფონით ჩვენი კორ.).

I ლიგაში 2 ნოემბერს გაიმართა ტურის სხვა შეხვედრებიც: „კუზბასი" (კემეროვო) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 7:0, „ისკრა" (სმოლენსკი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 0:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:1, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 1:0, „კუბანი" (კრასნოდარი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 3:1.

I ლიგის მომდევნო, 46-ე ტურის მატჩები გაიმართება 5 და 6 ნოემბერს. 5 ნოემბერს ლანჩხუთის „გურია" კრასნოდარში შეხვდება „კუბანს", ხოლო ბათუმის დინამოელები შინ მიიღებენ სტავროპოლის თანაკლუბელთა გუნდს.

5 ნოემბერს გაიმართება, აგრეთვე, ორი მეტად საინტერესო მატჩი: რიგის „დაუგავა" შინ შეხვდება ლვოვის ასკ „კარპატის", ვორონეჟში ითამაშებენ „ფაკელი" — ცსკა. 9 ნოემბერს ერთმანეთს შეხვდებიან ცსკა — ასკ (როსტოვი).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა" | 43 | 23 | 12 | 8 | 77-42 | 58 |
| „გურია" | 43 | 26 | 5 | 12 | 76-62 | 57 |
| ცსკა | 42 | 22 | 9 | 11 | 55-35 | 53 |
| ასკ „კარ." | 43 | 21 | 10 | 12 | 65-48 | 52 |
| „პამირი" | 43 | 20 | 11 | 12 | 70-43 | 51 |
| „როტორი" | 43 | 21 | 7 | 15 | 67-51 | 49 |
| „ლოკომოტ." | 43 | 19 | 11 | 13 | 59-46 | 49 |
| „როსტსელ." | 43 | 19 | 10 | 14 | 76-64 | 48 |
| „კოლოსი" | 43 | 18 | 11 | 14 | 44-44 | 47 |
| „დინამო" ბ. | 43 | 19 | 8 | 16 | 47-53 | 46 |
| „ფაკელი" | 43 | 18 | 8 | 17 | 49-42 | 44 |
| „სპარტაკი" | 43 | 15 | 12 | 16 | 57-58 | 42 |
| „კუზბასი" | 43 | 15 | 12 | 16 | 60-56 | 42 |
| „შინიკი" | 43 | 15 | 14 | 14 | 37-36 | 42 |
| „მეტალურ." | 43 | 16 | 9 | 18 | 55-51 | 41 |
| ასკ რ. | 42 | 15 | 11 | 16 | 52-44 | 41 |
| „ფახთაქ." | 43 | 14 | 9 | 20 | 52-71 | 37 |
| „დინ." სტ. | 43 | 12 | 15 | 16 | 58-53 | 36 |
| „კუბანი" | 43 | 12 | 14 | 17 | 37-45 | 36 |
| ასკ ხ. | 43 | 12 | 12 | 19 | 48-57 | 36 |
| „კოტაიკი" | 43 | 12 | 13 | 18 | 40-50 | 36 |
| „ისკრა" | 43 | 11 | 12 | 20 | 27-53 | 34 |
| „ატლანტასი" | 43 | 8 | 10 | 25 | 36-70 | 26 |
| „ნისტრუ" | 43 | 5 | 9 | 29 | 27-97 | 19 |

# მესამედ!

დასასრული

ერთი, ჩემპიონატის მედლების განაწილება და მეორეც, ალბათ უმთავრესი — საზონათშორისო ტურნირის დარჩენილი სამი საგზურის მფლობელის ვინაობის დადგენა. ამ სანუკვარი მიზნისთვის ბოლო ტურებში მონაწილეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი იბრძოდა: არახამია, ლევიტინა, ზოია ლელჩუკი, ნინო გურიელი, ლიუდმილა ზაიცევა, სვეტლანა მატვეევა, გულნარა სახატოვა და კამილე ბაგინსკაიტე. ახლა ვნახოთ, როგორ ითამაშეს XVI ტურში ამ მოჭადრაკეებმა და ტურნირის სხვა მონაწილეებმა და მერე გავაანალიზოთ, ვის როგორი შანსები რჩება ბოლო ტურში.

XVI ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ლაგვილავა — რუჩიევა 0:1, სახატოვა — მუჩნიკი 0:1, გურიელი — მატვეევა 0:1, ლევიტინა — სემიონოვა 0,5:0,5.

გუშინ, გადადებული პარტიების დამთავრებისას ყაიმზე შეთანხმდნენ: მუჩნიკი — არახამია (XV ტური), არახამია — პრუდნიკოვა, ლელჩუკი — ბაგინსკაიტე, ზაიცევა — უსკოვა (ყველა — XVI ტურიდან). ვორონოვა — ეპშტეინის პარტია კვლავ გადაიდო. ბოლო ტურის წინ იოსელიანს 11 ქულა აქვს, არახამიასა და ლევიტინას — 9,5-9,5, ლელჩუკსა და მატვეევას — 9-9, ზაიცევას — 8,5, გურიელსა და სახატოვას — 8-8, ბაგინსკაიტეს — 7,5. XVI ტურში იოსელიანი ისვენებდა და ახლა ჩემოჩამოთვლილ მოჭადრაკეებს 15-15 შეხვედრა აქვთ ჩატარებული. ჩემპიონატი მხოლოდ ნიკოლაეველმა ლარისა მუჩნიკმა დაამთავრა. მან საბოლოოდ 7 ქულა მოაგროვა.

ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: რუჩიევა — არახამია, იოსელიანი — ლევიტინა, სემიონოვა — ლელჩუკი, ბაგინსკაიტე — გურიელი, მატვეევა — ვორონოვა, ეპშტეინი — ზაიცევა, პრუდნიკოვა — სახატოვა და უსკოვა — ლაგვილავა.

როგორც ხედავთ, გურიელი და სახატოვა რთული პრობლემების წინაშე დგანან. ისინი მარტო საკუთარ თავზე არ არიან დამოკიდებულნი, მათ ლელჩუკის, მატვეევასა და ზაიცევას პარტიების შედეგებიც არანაკლებ აინტერესებთ. ასე რომ, ყველაფერს ბოლო ტური გაარკვევს, დაველოდოთ მას.

იაკობ ლაპიდუსი.

ჭადრაკი

## ბელიავსკი დაეწია ლიუბოევიჩს

ტილბურგის (ჰოლანდია) დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ლიდერობდნენ ალექსანდრე ბელიავსკი და ლიუბომირ ლიუბოევიჩი — 6,5-6,5 ქულა. ანატოლი კარპოვს 6 ქულა აქვს. აღსანიშნავია, რომ XI ტურში ბელიავსკიმ დაამარცხა კარპოვი, ხოლო გადადებული პარტიების დამთავრებისას მან ერთპიროვნულ ლიდერსაც სძლია.

## ჩემპიონატი—წლის მიწურულს

გუშინ თბილისში დაიწყო საქართველოს რეგბისტთა 1986 წლის ჩემპიონატი. შეჯიბრებაში ორ ქვეჯგუფად გაყოფილი 8 გუნდი მონაწილეობს. ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ უნივერსიტეტის, თბილისის „სპარტაკის“, თელავისა და ქიათურის გუნდები, მეორეში — ზოოვეტერინარული და სამედიცინო ინსტიტუტების, ზესტაფონისა და ქუთაისის გუნდები. ჩემპიონატში მონაწილეობას თავი აარიდეს ზუგდიდისა და ჩოხატაურის კოლექტივებმა.

ქვეჯგუფებში შეჯიბრება ერთ წრედ მოეწყობა. შემდეგ ერთსა და იმავე ადგილზე გასული გუნდები დასკვნით მატჩებში შეხვდებიან ერთმანეთს და საქართველოს გუნდების სიძლიერის განმსაზღვრელი ნუსხა საბოლოო სახეს მიიღებს.

მატჩები სტუდქალაქის სტადიონზე ჩატარდება დღეგამოშვებით, 5, 7 და 9 ნოემბერს. თამაშები 11 საათზე დაიწყება და საღამოს 5 საათამდე გასტანს.

რეგბი

## ლიდერობენ ფრანგები

საფრანგეთის ქალაქ ბეგლში საბჭოთა კავშირის რეგბისტთა ნაკრებმა ევროპის 1985-87 წლების ჩემპიონატის მატჩში ანგარიშით 15:9 დაამარცხა საფრანგეთის გუნდი. შეჯიბრებას კვლავინდებურად ფრანგები ლიდერობენ (6 მოგება, 1 წაგება). საბჭოთა და იტალიელმა რეგბისტებმა 4-4 მატჩი მოიგეს და 2-2 წააგეს, რუმინეთის ნაკრებმა 8 თამაშიდან 4 მოიგო და 4 წააგო.

მორიგ მატჩს საბჭოთა კავშირის ნაკრები იტალიელებთან 16 ნოემბერს სტუმრად გამართავს.

## სპორტული ნოემბერი

4. საგზატკეცილო ველორბოლა — საქართველოს პირველობა გოგონათა, იუნიორთა და ჭაბუკთა შორის. თბილისი.

4. ველოტრეკი — საქართველოს თასის გათამაშება ოლიმპიური პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში გოგონათა, იუნიორთა და მოზრდილთა შორის. თბილისი.

4-5. მაგიდის ჩოგბურთი — საქართველოს პირველობა 1972 წელს და შემდგომ წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ბოლნისი.

4-10. რეგბი. — საქართველოს ჩემპიონატი. ფინალური შეჯიბრება. თბილისი.

4-6. მშვილდოსნობა — გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკური შეჯიბრება „ოლიმპიელები ჩვენს შორის“. თბილისი.

4-8. ფეხბურთი — ოთხი ნაკრების შესარჩევი რესპუბლიკური ტურნირი. თბილისი.

4-10. ფეხბურთი — საბჭოთა კავშირის გმირ გ. ჯინჭარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება. ბათუმი.

6-9. ცხენოსნობა — საქართველოს პირველობა ჭაბუკთა და იუნიორთა შორის. ზუგდიდი.

9-11. ველოტრეკი — საქართველოს პირველობა ოლიმპიური პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში გოგონათა, იუნიორთა და მოზრდილთა შორის. თბილისი.

9-11. მშდ მრავალჭიდი — ახალწვეულთა საშემოდგომო შეჯიბრება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე — ფინალური ასპარეზობები. მაიაკოვსკი.

11-16. წყალში ხტომა — საქართველოს თასის გათამაშება და პირველობა გოგონათა და ჭაბუკთა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან და 5-7,5-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში. თბილისი.

12-16. კალათბურთი — რესპუბლიკური შეჯიბრება 1968-70 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. თბილისი.

12-17. ფრენბურთი — საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. ბათუმი.

12-15. ძიუდო — საქართველოს თასი. ქუთაისი.

17.XI-6.XII. ჭადრაკი — ვ. გოგლიძის მემორიალი — საერთაშორისო შეჯიბრება. თბილისი.

18-28. სასტენდო სროლა — საკავშირო შეჯიბრება მოზრდილთა და 1966-67 წწ. დაბადებულ იუნიორთა შორის. მახარაძე.

18-19. სინქრონული ცურვა — მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის გუნდების სამატჩო შეხვედრა. თბილისი.

20-23. სპორტული ტანვარჯიში — XXXIII ახალგაზრდული რესპუბლიკური პირველობა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. თბილისი.

21-23. აკრობატიკა — საქართველოს საშემოდგომო პირველობა 1969 წელს და შემდგომ წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. ბათუმი.

21-25. ბადმინტონი — საქართველოს ჩემპიონატი. ბათუმი.

23. ქართული ჭიდაობა — საქართველოს აბსოლუტური პირველობა. თბილისი.

25-30. ფრენბურთი — საქართველოს ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. სოხუმი.

25-29. თანამედროვე ხუთჭიდი — რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს სპორტსახკომის პრიზზე. თბილისი.

26-29. ძიუდო — საქართველოს პირველობა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპორტსმენთა შორის. სოხუმი.

27-30. ფარიკაობა — საქართველოს თასი. თბილისი.

28-30. კლასიკური ჭიდაობა — საქართველოს პირველობა 1968-69 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის. მახარაძე.

28-30. მაგიდის ჩოგბურთი — საქართველოს თასი. ბოლნისი.

29-30. თავისუფალი ჭიდაობა — საქართველოს პირველობა 1971-72 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის. გორი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა

## კარგად ორგანიზებული ტურნირი

თბილისში „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსში სამ დღეს მიმდინარეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძიუდოისტთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 100-ზე მეტმა ათლეტმა. ტურნირმა, რომელიც ყოველმხრივ კარგად იყო ორგანიზებული, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მონაწილეებმა კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნეს.

ბრძოლა გუნდური პირველობისთვის, უმთავრესად, რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიისა და საქართველოს ძიუდოისტთა შორის წარმოებდა. გამარჯვება რუსეთის ათლეტებმა მოიპოვეს, რომლებმაც ასპარეზობა 43 ქულით დაამთავრეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ბელორუსიის ძიუდოისტები, მესამეზე — საქართველოს წარმომადგენლები.

ცალკეული ბრძოლებიდან პირველ ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ლატვიელი სპორტის ოსტატის ვადიმ ვოინოვის შეხვედრა ევროპის სამგზის ჩემპიონთან და 1986 წლის მსოფლიო თასის მფლობელთან ბელორუსიელ ვიტალი პესნიაკთან (86 კგ). ახალგაზრდა ლატვიელმა სპორტსმენმა ეს შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და გამოცდილ ოსტატს ფინალისკენ გზა გადაუღობა. ვოინოვი ფინალშიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

პესნიაკმა კი... ერთხელ კიდევ სცადა ბედი ამ ტურნირში და აბსოლუტურ პირველობაში მოსინჯა ძალები, სადაც 27 ათლეტი გამო[illegible]ოდა. სამჯერად იგი უფრო [illegible] წარმატებულად იბრძოდა [illegible] საუკე[illegible]ველ შედეგსაც მიაღწია — პირველი ადგილი დაიკავა.

საქართველოს წარმომადგენლებმა თავი ორ წონაში გამოიჩინეს. სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ ნამგალაური პირველი იყო 76 კგ წონით კატეგორიაში, სპორტის ოსტატი დავით დავითაშვილი კი 95 კგ. წონაში.

სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემპიონის წოდება წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: იგორ მეძლუჩენკომ, რადიკ გარიფულინმა, ანდრეი კრასნოვმა (ყველა — რსფსრ), თამაზ ნამგალაურმა (საქართველო), ვადიმ ვოინოვმა (ლატვია), დავით დავითაშვილმა (საქართველო), ანტონ ნოვიკმა და ვიტალი პესნიაკმა (ორივე — ბელორუსია).

## თბილისის „დინამო“ საუკეთესო იყო

ალჟირი. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა გაიმარჯვეს აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულს — რევოლუციის დღეს ეძღვნებოდა. გადამწყვეტ შეხვედრაში დინამოელებმა ერაყის გუნდი „დრია“ დაამარცხეს — 106:104 (48:54).

შეჯიბრების მსვლელობაში ჩვენმა კალათბურთელებმა კიდევ სამი მატჩი მოიგეს ადგილობრივ კლუბთან „მპო“-სთან, ალჟირის ახალგაზრდულ და სირიის ეროვნულ გუნდებთან. მაგრამ ტურნირი ვერც „დინამომ“ განვლო დაუმარცხებლად — ალჟირის ეროვნულმა ნაკრებმა მას 5 ქულით აჯობა — 78:73 (თუმცა ამ შეხვედრის შედეგს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა).

მეორე ადგილი სირიის გუნდმა დაისაკუთრა, მესამე—ალჟირის ეროვნულმა ნაკრებმა.

## მეორე დამარცხება

სან-დიეგო (აშშ, კალიფორნიის შტატი). საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ტურნეს განაგრძობს აშშ-ს ქალაქებში. მესამე მატჩში ისინი ისევ „ატლეტს ინ ექშნს“ შეხვდნენ და ამჯერადაც დამარცხდნენ — 90:92.

პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ჩაატარა ვალერი გობოროვმა, რომელმაც გუნდს 18 ქულა შესძინა. მაგრამ მან პერსონალურ შეცდომათა ლიმიტი ამოწურა და მოედანი დატოვა. ეს მძიმე დანაკლისი იყო გუნდისათვის, ამ დღეს სნაიპერული სროლებით თავი გამოიჩინეს სერგეი ტარაკანოვმა (19 ქულა) და შარუნას მარჩიულენისმა (19 ქულა).

ძიუდო

## ისტორიაში პირველად

ტოკიო. „ბუდოკანის“ სპორტულ კომპლექსში გაიმართა ძიუდოისტთა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურნირი — ძიგარო კანოს მემორიალი, რომელშიც მსოფლიოს ყველა უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა.

იაპონელებმა, ძიუდოს ისტორიაში პირველად, დათმეს პირველობა. თუმცა ფინალში ისინი არც გასულან. სპეციალისტთა აზრით ამ ტურნირის ცენტრალური შეხვედრა იყო საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ათლეტთა ორთაბრძოლა, რომელიც მეოთხედფინალში გაიმართა. გამარჯვება საბჭოთა ძიუდოისტებმა მოიპოვეს — 3:2.

ფინალში ჩვენი მოჭიდავეების მეტოქე პოლონეთის ნაკრები იყო. გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ — 2:0.

გუნდურ ტურნირს წინ უსწრებდა პირადი შეჯიბრება. აქ იაპონელებმა ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს. საბჭოთა ნაკრების წევრთაგან გამარჯვება კურსკელმა ალექსანდრე სივცევმა (86 კგ) მოიპოვა, რომელმაც ფინალში თანაგუნდელ ვიქტორ პოდდუბნის აჯობა.

მეორე ადგილები დაიკავეს: 65 კგ-ში ლენინგრადელმა იური სოკოლოვმა (დამარცხდა ესუკე იამომოტოსთან), მძიმეში — გრიგორი ვერიჩევმა (დამარცხდა ხიტოში საიტოსთან).

## თუ გული გულობს...

მას შემდეგ, რაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები პენზის „სპარტაკთან“ დიდი ანგარიშით (49:63) დამარცხდნენ, გუნდის მწვრთნელებმა, მოთამაშეებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ მომდევნო მატჩებში კარგი თამაშით გაეხარებინათ გულშემატკივრები. შეჯიბრების ბოლოსწინა დღეს ტურნირის მასპინძლებმა დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხეს კუიბიშევის „ბურევესტნიკი“ — 59:48 (26:18) და ბოლო დღეს კვლავ პენზელ კალათბურთელებს შეხვდნენ. პენზელებს ამ დროისთვის ქულათა მაქსიმუმი ჰქონდათ მოგროვილი.

შეხვედრა თავიდანვე საინტერესოდ დაიწყო, დაახლოებით მე-15 წუთამდე ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო საგრძნობი თვალსაჩინო უპირატესობის მოპოვება. ტაიმის მიწურულს თბილისელებმა მოახერხეს რამდენიმე შედეგიანი შეტევის განხორციელება და ანგარიში გახდა 39:36 მასპინძელთა სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ თბილისელები უფრო ცოცხლად თამაშობდნენ დაცვაში და თავდასხმაშიც. რამდენჯერმე შეასრულეს ზუსტი სამქულიანი სროლა (სირაძე, ბუილიშვილი). უკანა ხაზის მოთამაშეებს კარგად უბამდნენ მხარს კორკოტაძე, ნოვიკოვა და მხეიძე, რომელმაც ყველაზე მეტი, 21 ქულა შესძინა თავის გუნდს. ანგარიში სწრაფად იზრდებოდა და ჩვენმა გოგონებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 83:58! აი, რას ნიშნავს მონდომება!

ამ დღეს გაიმართა კიდევ ორი მატჩი: ფრუნზეს „სტროიტელმა“ ჯერ პენზის „სპარტაკთან“ წააგო — 61:68 (21:39), ხოლო შემდეგ კუიბიშევის „ბურევესტნიკს“ სძლია — 72:67 (31:32). საბოლოოდ თბილისელმა და პენზელმა კალათბურთელებმა 3-3 გამარჯვება იზეიმეს, ფრუნზელებმა — ორი, კუიბიშეველებმა კი ყველა შეხვედრა წააგეს.

### დარჩა ოთხი

### მაძიებელი

დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირის წინასწარი ეტაპი. ბოლო დღეს გაიმართა სამი შეხვედრა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელები ასპარეზობის ფავორიტთან, ნოვოსიბირსკის „კიროვეცთან“ დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ — 2:3. თუმცა ჩვენს გოგონებს უკვე გამოდებული ჰქონდათ ადგილი ფინალურ ოთხეულში. მათ უფლება მოიპოვეს პირველ ლიგაში ადგილის დასაკავებლად გააგრძელონ ბრძოლა. ამ დღეს ივანოვოს „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა ფრუნზეს „ბურევესტნიკი“ — 3:0, მოგილიოვის „ტეხნოპრიბორმა“ კი აჯობა ამხაბადის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის გუნდს — 3:0. ასე რომ, მასპინძლებთან ერთად დასკვნით ეტაპზე გამოვლენ ნოვოსიბირსკის „კიროვეცი“, ალმაათის ადკ და ივანოვოს „ბურევესტნიკი“.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
ფეხბურთი
**9 ნოემბერი**
**საბჭოთა კავშირის პირველობა**
**„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)**

დასაწყისი 18 საათზე.

ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 4 და 5 ნოემბერს, სტადიონის სალაროებში 4 ნოემბრიდან; აბონემენტის მფლობელებს ლატარიის ბილეთის შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში; სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

სალაროები ღიაა 10 საათიდან 19 საათამდე.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 8 ნოემბერს „დინამოს“ სტადიონზე. დასაწყისი 12 საათზე.

ინდექსი: 68485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 05911